ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია **დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: **თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **ა (ა)იპ**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: **ნინო ფეტვიაშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **მაკა ნადარეიშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი კერძო, ქართული ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა. სკოლაში სწავლება ხორციელდება ანთროპოსოფიულ ადამიანთმცოდნეობაზე დაფუძნებული საერთაშორისოდ აღიარებული ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებით და ეყრდნობა ქართულ კულტურას.

ვალდორფის პედაგოგიკის ამოსავალი წერტილი ბავშვის და მოზარდის ინდივიდუალურ განვითარებაზე დაკვირვება და მისი ხელშეწყობა, ასევე მათი შესაძლებლობების და პოტენციალის გამოვლინებაა. აღზრდის პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეების ადამიანური ღირსების, კულტურული მრავალფეროვნების, ზოგადადამიანური ღირებულებების სრული პატივისცემით, აღსაზრდელების შემეცნებითი, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების თანაბარი განვითარებით.

მოსწავლის ჯანსაღი განვითარებისთვის პედაგოგები და მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ და პასუხისმგებლობებს ინაწილებენ როგორც აღმზრდელობით, ასევე სკოლის მართვის სფეროში.

სკოლის სასწავლო პროგრამა შეესაბამება როგორც ვალდორფის სკოლების საერთაშორისოდ აღიარებულ კურიკულუმს, ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლის კურსდამთავრებული იღებს ზოგადი განათლების ატესტატს.

სკოლა ხელმისაწვდომია ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად რელიგიური, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა.

სკოლის მიზანია აღზარდოს თავისუფალი პიროვნება, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და თავად საზღვრავს საკუთარ ადგილს თანამედროვე საზოგადოებაში.

დაწესებულება ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის შეიმუშავებს სტრატეგიას, რომელიც დროის მოთხოვნების შესაბამისად მუდმივად ცვალებადია.

სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:
ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია გაძღოლის კონფერენციის 2017 წლის 7 ივლისის N20 გადაწყვეტილებით.
სასკოლო სასწავლო გეგმა და სასწავლო პროგრამები შემუშავებულია ერთი მხრივ ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, მეორე მხრივ კი თანამედროვე საქართველოს სოციოკულტურულ კონტექსტში ადაპტირებული ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებზე დაყრდნობით.
დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პასუხი 21 ივნისი წერილზე, რომელიც შეეხება 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის განხორციელებას. ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პასუხის თანახმად სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- სკოლის მისია;
- საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი პედაგოგიური პრინციპები და ორგანიზაციის თავისებურებები ვალდორფის სკოლაში;
- სასწავლო წლის კალენდარი;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საამღზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა (სასწავლო გეგმის დანართის სახით);
- საათობრივი ბადე;
- შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობა საგნების მიხედვით;
- სასწავლო საგნების ჩამონათვალი პედაგოგების მითითებით (სასწავლო გეგმის დანართის სახით);
- ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- გახანგრძლივებული ჯგუფის სამუშაო გეგმა (სასწავლო გეგმის დანართის სახით);
- სასკოლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით (სასწავლო გეგმის დანართის სახით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა (სასწავლო გეგმის დანართის სახით);
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის წესები; მოსწავლის გაცდენები; სასკოლო გამოცდები;
- სკოლის სასწავლო სივრცე.

ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში სწავლა ექვსდღიანია. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლის პარალელურად, დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურეობის სახით, მოსწავლეებს სთავაზობს ვალდორფის პედაგოგიკით გათვალისწინებული საგნების სწავლებას, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდების თვითშემოქმედებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის სასარგებლო პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩაამოყალიბებას.

<u>ეპოქალური სწავლება</u>

მთელი რიგი ზოგადსაგანმანათლებო საგნები - ისტორია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, ასევე (ნაწილობრივ) მათემატიკა და მშობლიური ენა და ლიტერატურა, ნაცვლად ყოველკვირეული გაკვეთილებისა, ისწავლება კონცენტრირებულად, 3-4 კვირიანი ციკლების სახით. „ეპოქის გაკვეთილი" ორსაათიანია და 3-4 კვირის მანძილზე ყოველდღიურად, ინტენსიური სწავლების მეთოდის გამოყენებით ტარდება. ეპოქალური სწავლებისას დიდი ყურადღება ეთმობა „მთავარ გაკვეთილს".

<u>მთავარი გაკვეთილი</u>

ეპოქალური სწავლება მიმდინარეობს ე.წ. მთავარი გაკვეთილის ფორმითა და მას გაკვეთილების ცხრილში ეთმობა პირველი ორი საათი. გაკვეთილის სტრუქტურა ასეთია:
1. რიტმული (სამოძრაო) ნაწილი, 2. ძირითადი ნაწილი, 3. თხრობა ან ექსპერიმენტი.

<u>„ფენომენოლოგიური" მიდგომა</u>

ვალდორფის პედაგოგიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკვანძო მაგალითებით სწავლების მეთოდი (ფენომენოლოგიური მიდგომა). შესასწავლი ფაქტების სიუხვის ნაცვლად, ადგილი აქვს ჩაღრმავებულ განხილვას უმნიშვნელოვანესი და არსებითი მაგალითებისა (საკვანძო ფენომენების), რომელთა დეტალური გააზრებით მოსწავლეები ეუფლებიან მომიჯნავე წარმოდგენებსა და ცნებებს. ეს მასწავლებლისგან მოითხოვს ყოველ საგანში ცენტრალური, საკვანძო შინაარსობრივი მაგალითების ფენომენების ანუ „სასწავლო ეგზემპლარების" სათანადო შერჩევას. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს ცოდნასა და სინამდვილეს შორის არსებული გახლეჩილობის გადალახვას, რამეთუ მისი მახასიათებელია მაგალითისა და წესის, მოვლენისა და კანონის ერთიანობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების მიხედვით. სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

გამოყენებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო გრიფირებულია. სასკოლო სასწავლო გეგმაში და საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილია სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად. სასწავლო გეგმის თანახმად, „მასწავლებლის კვალიფიკაციისა და შემოქმედებითი თავისუფლების გათვალისწინებით სკოლა უფლებამოსილებას ანიჭებს პედაგოგს, თავად შეარჩიოს მასალის გადაცემის სათანადო მეთოდი და წყაროები, რის შედეგადაც მოსწავლეები ეცნობიან და ამუშავებენ უფრო მეტ ტექსტუალურ ინფორმაციას, ვიდრე სტანდარტულ სახელმძღვანელოზე ცენტრირებული, ტრადიციული სწავლებისას იქნებოდა შესაძლებელი“.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადე წარმოადგენს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვის ოდენობას საფეხურების, კლასებისა და საგნების მიხედვით. სასკოლო ბადე ძირითადად თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა 2016 წელს განხორციელებული მონიტორინგის რეკომენდაციები სასწავლო ბადესთან დაკავშირებით. კერძოდ, 2017-2018 სასწავლო წელს პირველი კლასიდან იწყება ინგლისური ენის სწავლება, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში არ იყო გათვალისწინებული ისტ-ის გაკვეთილები. სკოლამ გაითვალისწინა ეს შენიშვნაც და ისტ-ი დაემატა მე-6 კლასიდან (კვირაში 1 საათი). რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ დაწყებითი საფეხურის შედეგების მიღწევას. საათობრივ ბადეში არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კურსი საშუალო საფეხურზე. ექსპერტების *რეკომენდაციაა* სასწავლო კურსის ძირითადი საკითხების სწავლება მოხდეს ინტეგრირებულად ესგ-ით განსაზღვრული საგნებისა და საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მთავარი გაკვეთილის განსხვავებული ხანგრძლივობა და სტრუქტურა იძლევა სხვადასხვა საგნების ინტეგრირებული სწავლების საშუალებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის დანართით წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნების წლიური პროგამები, მისაღწევი შედეგები და შეფასების სქემები.

კერძოდ,

1. V-IX კლასებში ისწავლება მესამე უცხო ენა (რუსული), რომელიც მეცხრე კლასის ბოლოს მთავრდება სპექტაკლით - წლიური დატვირთვა 108 სთ;
2. I-XII კლასებში ისწავლება მოძრაობითი ხელოვნების დარგი - ევრითმია - კლასების მიხედვით დატვირთვა ცვალებადია;
3. V-VIII კლასებში ისწავლება ცეკვა (მსოფლიოს ხალხთა ცეკვები - ქართული ეროვნული ცეკვების პარალელურად);
4. V-VII კლასებში ისწავლება მებაღეობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

5. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება (ხელოვნების ისტორიის სახით) გრძელდება საშუალო საფეხურზეც; გარდა ამისა გამოყენებითი ხელოვნების სწავლება დაწყებით და საბაზო საფეხურზე ხორციელდება ისეთი სავალდებულო დამატებითი საგნების შეთავაზევით, როგორიცაა ხელგარჯილობა და ხელოსნობა, ხოლო IX-XII კლასებში მათ ენაცვლებათ ხელობების ისეთი ჩამონათვალი, როგორიცაა: სპილენძის თეგვა, დურგლობა, ლინოგრავიურა, კარტონაჟი, ძერწვა (თიხა), კერვა, კალათის წვნა, ხაზვა;
6. XII კლასში ერთკვირიანი ეპოქის სახით ისწავლება პოლიტოლოგია;
7. VIII და XI კლასებში სავალდებულო პედაგოგიურ-აღმზრდელობით დისციპლინას წარმოადგენს კლასის მიერ სპექტაკლის დადგმა;
8. ასევე დამატებით სავალდებულო პედაგოგიურ საქმიანობებს მიეკუთვნება IX, X და XI კლასებში შესაბამისად გაწერილი სასოფლო-სამეურნეო, ეკოლოგიური და სოციალური პრაქტიკები;
ვალდორფის სკოლაში არჩევით დამატებით აღმზრდელობით მომსახურებას წარმოადგენს დაბალი და მაღალი კლასების ორკესტრი, რომლის მიზანს შემდგომი მუსიკალური განვითარების გარდა მოსწავლეთა სოციალურ უნარებზე მუშაობაც წარმოადგენს.
გარდა ამისა, სკოლა I-IV კლასების მოსწავლეებს, მშობლის სურვილის გათვალისწინებით, გაკვეთილების შემდეგ სთავაზობს ფასიან დამატებით აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მომსახურეობებს ე.წ. გახანგრძლივებული დღის ჯგუფისა და გერმანული ენის დიპლომის (Sprachdiplom) კურსის სახით;
სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია პროგრამა ინკლუზიურ განათლებაში და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. შემუშავებულია სპეციალური პროგრამა, რომელშიც გაწერილია მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობების გრაფიკი, როგორც ინდივიდუალური შეხვედრების, ასევე დამატებითი დახმარებისთვის. შემუშავებულია ინდივიდუალური პროგრამები იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც საჭიროებენ სხვებთან შედარებით მეტ დროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ასათვისებლად.
სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც აღწერილია სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები და ძირითადი მიმართულებები.

დასტურდება:

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- გაძღოლის კონფერენციის 2017 წლის 7 ივლისის N20 გადაწყვეტილების ოქმით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილით (04.07.2017)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის წერილით N131 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს (21.06.2017)

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში სწავლა მიმდინარეობს სამივე საფეხურზე:

- დაწყებითი(I-VI კლასები);
- საბაზო(VII-IXკლასები);
- საშუალო(X-XIIკლასები).

სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა, რომლებსაც ევალებათ სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების კოორდინირება. დებულებით დადგენილია კათედრის საქმიანობის წესი და ფუნქციები. შედგენილია სამოქმედო გეგმები და პროგრამები საგნებისა და საფეხურების მიხედვით. წარმოდგენილია კათედრისა და მასწავლებლების საქაღალდეები (პორტფოლიოები), სადაც ინახება თემატური გეგმები საგნებისა და საფეხურების მიხედვით და სხვა სამუშაო დოკუმენტი.

დასტურდება:

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებით;
- მასწავლებლების პორტფოლიოებით;

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინკლუზიური განათლების პროგრამას, სადაც გაწერილია ის ძირითადი ფაქტორები, სტრატეგიები და მიდგომები, რომელიც აუცილებელია სსსმ მოსწავლის/მოსწავლეების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისთვის. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო, სადაც გათვალისწინებულია როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი მიზნები და ისგ-ის მონიტორინგის წარმოება.

სკოლაში ირიცხება 12 განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლე, აქედან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ იდენტიფიცირებულია 4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მომუშავე მოსწავლე. 3 მოსწავლის შეფასების შედეგად სამინისტროდან მიღებულია სამუშაო რეკომენდაციები, 5 მოსწავლეს ჩაუტარდა ტესტირება და ამჟამად სკოლა ელოდება შეფასების დასკვნას. სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და ინკლუზიური განათლების კოორდინატორი.

დასტურდება:

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინკლუზიური განათლების კონცეფციით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ჩამოყალიბებულია ქულების გამოანგარიშების წესი. კათედრებზე შემუშავებულია შეფასების სქემები, რუბრიკები საგნების მიხედვით, რომლებიც მასწავლებლებისა და კათედრის ხელმძღვანელთა პორტფოლიოებშია განთავსებული.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების ტიპებს.

დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ განმავითარებელი შეფასების ფორმები, რომელსაც აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში, ხოლო სემესტრისა და წლის ბოლოს აკეთებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

თითოეული მოსწავლის შესახებ წერილობით კომენტარებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი შეფასების ანალიზებისა და დავალებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ დავალებები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმის, დოკუმენტაციის, ჟურნალების შესწავლისას და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ჩატარებული ე.წ. „ეპოქალურ სწავლების" ფარგლებში ერთკვირიანი ეპოქა ჯამურად მოიცავს 14 აკადემიურ საათს, სამკვირიანი ეპოქა ნიშნავს 42 და ა.შ. საათს; აქედან გამომდინარე რამდენიმე კონკრეტული საგანი შეიძლება წლიურ საათობრივ ბადეში მხოლოდ ერთი, მაგალითად, ოთხკვირიანი ეპოქის სახით იყოს წარმოდგენილი, ან/და ისწავლებოდეს ერთი სემესტრის განმავლობაში, რაც, შესაბამისად, შეუძლებელს ხდის ორივე სემესტრში გათვალისწინებული შემაჯამებელი სამუშაოების სრულად ჩატარებას. ამიტომ სასკოლო გეგმასა და პროგრამებში ისეთ საგნებში, რომელთა სწავლებაც მხოლოდ ეპოქის სახით ხდება, შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობა მოცემულია ორივე სემესტრისთვის (ერთი ეპოქის ფარგლებში) ჯამურად. ექსპერტთა მოსაზრებით, ამ განსხვავებულმა მიდგომამ მობილობის შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლეებს პრობლემა შეუქმნას შეფასებასთან დაკავშირებით, ამიტომ, თუ კი ეს საკითხი პრინციპულია ვალდორფის პედაგოგიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, *რეკომენდებულია*, მშობლებთან დადებული კონტრაქტის ან რაიმე სხვა დოკუმენტის ფარგლებში ეს გარემოება და სხვა სკოლებისგან განსხვავებულობა იყოს დადასტურებული დოკუმენტურად. ამავე დროს, სასურველია, მისაღწევი შედეგები ინტეგრირებულად გადანაწილდეს საგნის/საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში, რის შესაძლებელობასაც იძლევა მთავარი გაკვეთილის განსხვავებული ხანგრძლივობა და სტრუქტურა.

დასტურდება:

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- საგნობრივი კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოებით;
- მოსწავლეთა შემაჯამებელი ნამუშევრებით და მასწავლებელთა მიერ გაკეთებული ანალიზებით.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მათ ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ამ წესის თანახმად მშობელს აქვს ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე დისციპლინარული გადაცდენების შესახებ. ამასთანავე, მშობელთან ურთიერთობის ძირითადი ფორმები განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით და სადამრიგებლო პროგრამით.

მშობლის ინფორმირების და მისი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით გამოიყენება სკოლის ვებ–გვერდი, სოციალური ქსელი – ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი, შეხვედრები, სკოლის განცხადებების დაფა ან სხვა.
მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას უზრუნველყოფს კლასის მასწავლებელი/მზრუნველი, რომელიც კლასის დამრიგებლის ფუნქციებს ასრულებს. სკოლა მიმართავს სხვადასხვა საშუალებას რომ მშობლები და ოჯახები ჩართოს ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში (მაგ. ღია კარის დღეები, შეხვედრები მშობლებთან, მასწავლებელთა კავშირი მოსწავლეების ოჯახებთან და სხვ.); მშობლებს რეგულარულად უკავშირდებიან და იწვევენ შეხვედრებზე მათი შვილების სწავლასთან დაკავშირებული საჭიროებების ინფორმირების მიზნით; ჩამოყალიბებული მექანიზმების საშუალებით სკოლის მართვის სტრუქტურები ხელს უწყობენ მშობელთა მონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში; მშობლები ფლობენ ინფორმაციას მათი შვილებისთვის ხელმისაწვდომი ყველა პროგრამისა და მომსახურების შესახებ; მოსწავლეები მონაწილეობენ მშობელთა/პედაგოგთა შეხვედრებში, რომელიც ეხება მათ სწავლასთან დაკავშირებულ საჭიროებებსა და აკადემიურ მოსწრებას; მშობლები მიწვეული არიან ყველა საჩვენებელ ღონისძიებაზე, რაც წარმოაჩენს მათი შვილების მიღწევებს.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- სადამრიგებლო პროგრამებით;
- გასაუბრებით.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას შემუშვებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და მისი შემდგომი გაუმჯობესების გეგმა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი განსახორციელებელი საქმიანობა: მასწავლებეთათვის გაკვეთილის ეფექტიანად დაგეგვაში ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა და სხვადასხვა აქტივობის შერჩევა სუსტი მხარეების დაძლევის მიზნით. სკოლას შემუშავებული აქვს 2016-2017 სასწ. წლის SWOT-ანალიზი. მიმდინარეობს გაკვეთილისა და სხვადასხვა დოკუმენტაციის შეფასების ფორმებზე მუშაობა, რაც გამოყენებული იქნება საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

დასტურდება:

- პორტფოლიოებით;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციით;
- SWOT ანალიზით;
- შიდა ხარისხის მექანიზმით
- დირექციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, კათედრის ხელმძღვანელებთან და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლი , სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამები დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მდებარეობს ქალაქ თბილისში, თოფურიას ქ. N2-ში (ს.კ. 01.14.04.022.010) და საკუთრებაში ფლობს 5119 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს N1, N2, N3, N4, N5, N7 საერთო ფართით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2271.58 კვ.მ, შენობა N10 საერთო ფართით 1086.38, ნაგებობებს N6, N8 და N9 საერთო ფართით 61.8 კვ.მ. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი შეადგენს 3419.76 კვ.მ-ს. ამავე ამონაწერის მიხედვით, დაწესებულებაში არსებული შენობა-ნაგებობების 3419.76 კვ.მ. ფართიდან ა(ა)იპ - აღზრდის ხელოვნება თბილისის თავისუფალი ვალდორფის საბავშვო ბაღისთვის, ხუთწლიანი იჯარით გაცემული აქვს შენობა N10-ში პირველ სართულზე 272.67 კვ.მ., მანსარდა 32.60 კვ.მ., შენობა N6-ში 18 კვ.მ. ფართი. აღნიშნულ ფართს აქვს საკუთარი სველი წერტილები და სხვა დამხმარე ფართები. ეზოსა და შენობა-ნაგებობის სივრცე ისეა ორგანიზებული, რომ ხელი არ ეშლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესს.
საიჯარო ფართის გამოკლებით სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესისთვის დაწესებულება იყენებს 3096.49 კვ.მ. ფართს.
მიწის ნაკვეთი შემოღობილია. შენობა ნაგებობები ერთი და ორსართულიანებია.

დაწესებულების ფართის ოდენობა მისამართის მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	თბილისი. თოფურიას N2	3096.49 კვ.მ.

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 01.14.04.022.010);
- აზომვითი ნახაზით
- ვიზუალური დათვალიერებით
- ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 21 ოქტომბრის N29.20.1154 დადგენილებით;
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო და შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზის მიხედვით;
- 2017 წლის 04 სექტემბერს მომზადებული ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

ვიზუალური დათვალიერებითა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო და შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზის მიხედვით შენობის ფართი ორგანიზებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, განთავსებულია **13 საკლასო ოთახი,** უცხოური ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების, მუსიკისა და მეგაღეობის კაბინეტები; კომპიუტერების, სამედიცინო, გახანგრძლივებული ჯგუფის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

სადურგლოს, შრომის, თექის, ძერწვის, ხატვის, აკინძვისა და ხელგარჯილობის ოთახები; ცეკვის, სამკურნალო ევრითმიისა და სპორტის დარბაზები. ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ბიურო (ადმინისტრაცია), ბუფეტი, დაცვა, სამრეცხაო, გასახდელი, დამლაგებლების ოთახები და სხვა დამხმარე ფართი.

თითოეული საკლასო ოთახი დაახლოებით **40-50 კვ.მ.** და აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური და ორადგილიანი მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. დაწესებულებას ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით აქვს სხვადასხვა კატეგორიის **309 ორადგილიანი, 10 სამადგილიანი (ფიზიკის ლაბორატორიაში) და 129 ერთადგილიანი მერხი სკამით.** საკლასო ოთახებში განთავსებულია პროგრამით განსაზღვრული მეთოდიკის შესაბამისი სხვადასხვა ზომისა და ფორმის დაფები. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების საგნების ოთახები აღჭურვილია სხვადასხვა საშუალებებით. მაგ.: საკერავი მანქანებით, საქსოვი და საკერავი ძაფებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, სახელოსნოს სხვადასხვა ტექნიკითა და იარაღებით.

მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობაა კლასში **36 მოსწავლე.** სკოლაში ვიზიტის დროს ირიცხებოდა 371 მოსწავლე. 2012 წლის 4 ოქტომბრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით N295 მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 377 მოსწავლით.

სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია, თუ როგორ ხდება სკოლის *სასწავლო სივრცის* ორგანიზება ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებიდან გამომდინარე. ეს ეხება როგორც შენობის არქიტექტურას და ღია სივრცის (ეზოს) მოწყობას, ასევე საკლასო ოთახების ესთეტიკურ გაფორმებასა და სასწავლო ინვენტარის შერჩევას. აქედან გამომდინარე, საკლასო ოთახები აღჭურვილია როგორც ერთადგილიანი, ასევე ორადგილიანი მერხებით. მერხები და სკამები ვალდორფის სკოლაში მთლიანად ბუნებრივი მასალისგან, ხისგანაა დამზადებული და ცვილითაა დაფარული. მოსწავლის კონტაქტი სპეციფიკური სითბოს, ფერისა და ტექსტურის მასალასთან ხელს უწყობს შეხების გრძნობის სათანადო ფორმირებას და ზოგადად სენსორულ ინტეგრაციას. მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად ხდება საკლასო ოთახში მერხების განლაგება. დაწყებით საფეხურზე მათი რკალისებური განლაგება უზრუნველყოფს მოსწავლეთა კონცენტრაციას მასწავლებლის, როგორც საგაკვეთილო პროცესის ცენტრალური ფიგურის მიმართ, რაც მაღალ კლასებში ნაცვლდება მერხების წრიული განლაგებით, როდესაც სასწავლო პროცესში მასწავლებელს ძირითადად მოდერატორის ფუნქცია გააჩნია. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ორადგილიან მერხებს ღრმა პედაგოგიური დატვირთვა გააჩნია. *ექსპერტთა რეკომენდაციაა,* სასკოლო სასწავლო გეგმაში განმარტების გარდა, ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებიდან გამომდინარე შერჩეული და სპეციფიკური მეთოდოლოგია სასწავლო პროგრამებში უფრო დეტალურად გაიწეროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

- შესყიდვის აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

დაწესებულების კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სპორტული მოედანი, ხოლო შენობა-ნაგებობაში სპორტული დარბაზი, რომლის ფართიც შეადგენს 94.99 კვ.მ-ს. აღიშნული სივრცეები მოწყობილია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპორტის სახეობების, ფრენბურთის, კალათბურთისთვის, რაგბისთვის. მაგიდის ჩოგბურთისთვის გამოყოფილია მცირე ზომის სავარჯიშო დარბაზი შესაბამისი ინვენტარით.

დასტურდება:

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით
- სპორტული ინვენტარის შესყიდვის აქტებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

სკოლის შენობაში განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. სამივე ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ლაბორატორიებში არის სველი წერტილები. ქიმიის კაბინეტში დამონტაჟებულია გამწოვი.

დასტურდება:

- ლაბორატორიის ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:
სკოლას მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი. შენობა თბება ცენტრალური გათბობის სისტემით. საკლასო ოთახებს, კაბინეტებს, ოთახებს, დარბაზებს, დერეფნებს, სველ წერტილებსა და დამხმარე სხვა ფართებს აქვს ელექტროგაყვანილობა. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს მინიმუმ ორი ფანჯარა და ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობაში ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები სკოლის თანამშრომლების, გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალ-ცალკე.

დასტურდება:
- ხელშეკრულებებით;
- გადახდის ქვითრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:
სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს „ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის 2012 წლის 27 ივლისის N5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულება. დებულების შინაარსიდან გამომდინარე, სივრცე ემსახურება მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებას. წიგნები დალაგებულია თემატურად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოები. წიგნადი ფონდი გაფორმებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის 2012 წლის 24 დეკემბრის N31 გადაწყვეტილებით. ბიბლიოთეკა მუშაობს სამუშაო დღეებში, 10:00-18:00 საათამდე.

გამოყოფილია სამკითხველო სივრცე, სადაც დგას ინტერნეტით უზრნველყოფილი 3 კომპიუტერი.

დასტურდება:
- საინვენტარო წიგნით;
- შესყიდვის დოკუმენტებით
- ჩუქების მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:
სკოლის შენობების შესასვლელი ადაპტირებულია. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია მოძრავი პანდუსებით. სკოლაში არის სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირებული 1 სველი წერტილი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს, თუმცა დირექტორის მიერ დანიშნულია ასეთი მოსწავლის ყოლის ან სტუმრის ხელშესაწყობად პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მის გადაადგილებას.

დასტურდება:
- ვიზუალური დათვალიერებით;

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:
სკოლას აქვს ინტერნეტით უზრუნველყოფილი **29 კომპიუტერი.** აღნიშნული კომპიუტერებიდან 19 განთავსებულია კომპიუტერების ოთახში. დანარჩენი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, სამასწავლებლოში და ადმინისტრაციის ოთახებში. ამას გარდა, სკოლას აქვს პრინტერები, 2 პროექტორი, მონიტორები და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალება. ინტერნეტით მიწოდებას უზრუნველყოფს პროვაიდერი კომპანია სილქნეტი. წარმოდგენილია გადახდის ქვითრები. სკოლის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს ვებგვერდი http://waldorfschule.ge/ და ფეიბუქგვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

დასტურდება:
- ვებგვერდის http://waldorfschule.ge/ დათვალიერებით ;
- კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაციით;
- გადახდის ქვითრებით;
- სკოლის ბუღალტერთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

„დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთა დანიშვნის შესახებ" ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხსიმგებელ პირებად დანიშნულია ორი ადამიანი. შენობა-ნაგებობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას სულ მცირე ერთი ცეცხლმაქრია განთავსებული. ეზოში განთავსებულია სახანძრო სტენდი შესაბამისი ინვენტარით.

ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის 2012 წლის 27 ივნისის N4 გადაწყვეტილებით.

შენობა ნაგებობების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.

სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო საწოლი, კარადა, ექიმის მაგიდა, სკამები, სხვადასხვა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ჯანმრთელობის დიაგნოსტიკის საშუალებები. შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

„დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთა დანიშვნის შესახებ" ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის 2012 წლის 01 ნოემბრის N19 გადაწყვეტილებით დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხსიმგებელ პირებად დანიშნულია ორი ადამიანი.

წესრიგის დაცვის მექანიზმები გაწერილია „ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" გამგეობის 2012 წლის 27 ივლისის N3 გადაწყვეტილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის შინაგანაწესისა და სკოლის ბალანსზე რიცხული მატერიალურ ფასეულობათა ჩაბარების თაობაზე შემოვლის ფურცლის დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის 2012 წლის 10 აგვისტოს N16 გადაწყვეტილების მე-2 მუხლის დანართი N1-ის შესაბამისად დამტკიცებული შინაგანაწესით, კერძოდ, მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლის ქცევიის წესი, სკოლის პერსონალისათვის მოქმედი ეთიკური ნორმები, პერსონალის ქცევის წესები და ა.შ.

სკოლის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს 18 უსაფრთხოების კამერა, მათ შორის 16 აკონტროლებს ეზოს და შენობას, 2 გარე პერიმეტრს. სკოლის გარე პერიმეტრი კონტროლდება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანების შესაბამისი ორი ვიდეო კამერით. შენობა-ნაგებობის ფართის დერეფნების ნაწილში დამონტაჟებულია კამერები და დაცულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის წესი.

დასტურდება:

- კამერების შესყიდვის საგადასახადო ანგარიშფაქტურით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- 2012 წლის გადაწყვეტილებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის 2011 წლის 26 აპრილის სხდომის ოქმით დამტკიცებული წესდება შედგება შემდეგი ნაწილებისგან: პრეამბულა, არასამეწარმეო (არაკმერციული) იურიდიული პირის სახელწოდება, ადგილმდებარეობა; კავშირის დამფუძნებლები, მიზნები და საქმიანობა; კავშირის წევრობა; კავშირის წევრის უფლება-მოვალეობანი; კავშირის სტრუქტურა; საერთო კრება; კრების კომპეტენცია; გამგეობა; გამგეობის კომპეტენცია და მოვალეობა; გამგეობის თავმჯდომარის კომპეტენცია; საქმეთა მმართველი და მისი კომპეტენცია; გაძღოლის კონფერენცია; წარმომადგენლობითი უფლებამოსილება; საგარანტიო საბჭო; კავშირის ქონება და ფინანსური სახსრები; კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; დასკვნითი დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

„ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის შინაგანაწესი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შინაგანაწესის მოქმედების სფერო; სკოლის სტატუსი; მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი; სკოლის მართვის პრინციპი; ხელმძღვანელი ორგანოები; სკოლის სტრუქტურა; საერთო კრება; გამგეობა; გაძღოლის კონფერენცია; ხარისხის მართვის ჯგუფი; პედაგოგიური კონფერენცია; საგნობრივი კათედრები; მასწავლებელი; საქმეთა მმართველი; მდივან-რეფერენტი; ფსიქოლოგი; ბუღალტერი; ექიმი; იურისტი; ტექნიკური პერსონალი; მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები; სკოლაში ჩარიცხვის წესი; აკადემიური მიღწევების დონეები და შეფასების სისტემა; მშობლის ინფორმირების წესი; ეთკური ნორმები; სამუშაო დროის დასაწყისი და დასასრული, შესვენების დრო; სამსახურებრივ საკითხებზე გადაწყვეტილებათა პერსონალამდე დაყვანის წესი; სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია; პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა; გათავისუფლებული თანამშრომლის ვალდებულებანი; წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; მასწავლებლის /პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები; მოსწავლის ქცევის წესი; მოსწავლის დისხიპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები; მოსწავლის დისციპლინური სახდელის სახეები; დისციპლინური საბჭო და მისი უფლებამოსილება; დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი; განცხადება/საჩივრის განხილვა და წამოებაში მიღება; დისციპლინური წარმოების შეჩერება და გადადება; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; სახდელის მოქმედების ვადები; დასკვნითი დებულებანი; სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; სკოლის შინაგანაწესის მიღება, შეცვლა და გაუქმება.

დასტურდება:

- სკოლის წესდებით;
- სკოლის შინაგანაწესით;

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

„ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის ექვსწლიანი (გრძელვადიანი) განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის 2015 წლის 2 თებერვლის N4 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ექვსწლიანი (გრძელვადიანი) სამოქმედო გეგმა (2015-2022 წწ.) მოიცავს სწავლა-სწავლების პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობებისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების აქტივობებს.
„დაწესებულების განვითარების ერთწლიანი (2017-2018 წწ.) სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის 2017 წლის 25 აგვისტოს N2 გადაწყვეტილების მიხედვით დაგეგმილია მიმდინარე სასწავლო პროცესის შესაბამისი ორგანიზება.

დასტურდება:

- სკოლის განვითარების გრძელვადიანი სამუშაო გეგმით (2015-2022 წწ.);
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით (2017-2018 წწ.)

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:
ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის საქმისწარმოების წესის, ლოგოს, ბეჭდების, ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ" 2012 წლის 27 ივლისის N2 გადაწყვეტილების დანართი N1 შედგება შემდეგი ნაწილებისგან: ზოგადი დებულებანი, შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი; შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის წესი; გამგეობის გადაწყვეტილებებისა და სხდომის ოქმების აღრიცხვის წესი; ხელშეკრულების აღრიცხვის წესი; დოკუმენტის განხილვისა და პასუხის მომზადების წესი; უცხოეთიდან შემოსული დოკუმენტაციის განხილვის თავისებურებანი; გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წესი; გაძღოლის კონფერენციის გადაწყვეტილებების აღრიცხვის წესი; მოსწავლეთა მობილობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი; საქმეთა მმართველის განკარგულებების აღრიცხვის წესი; ელექტრონული აღრიცხვა; საქმეთა მმართველის ფაქსიმილიეს გამოყენების წესი. მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

დასტურდება:

- შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალით;
- გასული წერილების რეგისტრაციის ჟურნალით;
- საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ცნობის გაცემის ჟურნალით;
- ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- თანამშრომლების სარეგისტრაციო (მიღება-გათავისუფლების) ჟურნალით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლი , სტანდარტი - მატერიალური რესურსი დაკმაყოფილებულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, „ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის“ მართვის საინფორმაციო ბაზის ამონაწერის მიხედვით **ერიცხება 371 მოსწავლე.**
სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსი. ა(ა)იპ - ვალდორფის თავისუფალი თბილისის სკოლა-ბაღის გაძღოლის კონფერენციის 2017 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით, (რომელიც ეყრდნობა ამავე სკოლის შენაგანაწესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტს), 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის უზრუნველსაყოფად დაამტკიცა მასწავლებელთა საშტატო განრიგი, რომლის თანახმადაც სკოლას ჰყავს **43 მასწავლებელი.**
სკოლის ადმინისტრაცია შედგება საქმეთა მმართველის (დირექტორი), ბიბლიოთეკარის, მდივან-რეფერენტის, ექიმის, ფსიქოლოგისა და იურისტისგან. სკოლის პერსონალს შეადგენს ასევე, ორი დამლაგებელი და მენტორები, რომლებიც დაცვის თანამშრომლის ფუნქციას / მოვალეობას ასრულებენ.

დასტურდება:

- ა(ა)იპ - ვალდორფის თავისუფალი თბილისის სკოლა-ბაღის გაძღოლის კონფერენციის 2017 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით;
- სასკოლო სასწავლო გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 21 _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა პირადი საქმეებით (დიპლომით, სერთიფიკატით, ხელშეკრულებით).

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:
2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების უზრუნველსაყოფად, გაძღოლის კონფერენციის ოქმით განსაზღვრულია მასწავლებლები კლასებისა და სასწავლო საგნების შესაბამისად. მასწავლებლების აქვს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაცია და სტატუსი. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა მონიტორინგის დროს საბჭოსა და ექსპერტების რეკომენდაცია შესაბამისობაში მოეყვანათ მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხი, რის შედეგადაც რამდენიმე მასწავლებელი, რომელთაც არ უდასტურდებოდათ საგნობრივი კვალიფიკაცია, გავიდა საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 10 აპრილს, 2017 წლის 3 აპრილის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წერილის საფუძველზე, რომელშიც დადასტურებულია მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის თავსებადობა ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შეფასების სქემასთან, შეიკრიბა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი. ჯგუფის შეხვედრის მიზანი იყო თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის მასწავლებლთა განვითარების შეფასების ალტერნატიული სქემის ამოქმედება და სკოლაში ყველა მოქმედ მასწავლებლისთვის სტატუსის მინიჭება. აღნიშნული ალტერნატული სქემის მიხევით, სკოლაში ყველა მოქმედ მასწავლებელს მიენიჭა სტატუსი. აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, თითო მასწავლებელს სწავლების საგნის მიხედვით განესაზღვრა სტატუსი / სტატუსები. სკოლას ჰყავს: 27 პრაქტიკოსი, 18 უფროსი და 4 წამყვანი მასწავლებელი. 2017 წლის 6 ივნისს თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლამ მიმართა მასწალვებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს თხოვნით, რათა მათ დაედასტურებინათ სკოლის მიერ მასწავლებელთათვის მინიჭებული სტატუსები, რაზეც მიიღეს დადებითი პასუხი (2017 წლის 4 ივლისის წერილი).

დასტურდება:

- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ა(ა)იპ - ვალდორფის თავისუფალი თბილისის სკოლა-ბაღის გაძღოლის კონფერენციის 2017 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით;
- სასკოლო სასწავლო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა პირადი საქმეებით (დიპლომით, სერთიფიკატით, ხელშეკრულებით)
- თბილისის თავისუფალი ვალდორვის სკოლის მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის შეხვედრის ოქმით (ოქმი N1. 2017 წლის 10 აპრილი, ოქმის დანართი N1 მასწავლებელთათვის განსაზღვრული სტატუსები)
- თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შეფასების ალტერნატიული სქემით;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წერილებით (2017 წლის 3 აპრილი, 4 ივლისი);
- ინტერვიურებით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ ვრცელდება სკოლის ვებგვერდისა და სხვა დასაქმების ვებგვერდების საშუალებით. სამსახურში მიღება ხდება შესაბამის საგნობრივ კათედრებთან და სკოლის გაძღოლის კონფერენციასთან გასაუბრების და საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილის ჩატარების შემდეგ.

სკოლის შინაგანაწესის VI თავის 32-ე მუხლში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი. შინაგანაწესის VIII თავი დათმობილი აქვს დისციპლინურ წარმოებას, გადაცდომებსა და დისციპლინურ სახდელებს.

მასწავლებლის/პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებია: გაკვეთილის გაცდენა, მოსწავლის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა, მოსწავლეზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, ჟურნალის და სხვა დოკუმენტაციის უხარისხოდ ან საერთოდ არ წარმოება, ჟურნალის ან სხვა სკოლისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის განზრახ დაზიანება, ეთიკური ნორმების დარღვევა, საკუთარი მოსწავლის მომზადება ფულადი თანხის სანაცვლოდ სკოლის ტერიტორიაზე, მოსწავლეებთან ბიზნეს ურთიერთობის ქონა, სკოლის ტერიტორიაზე (შენობაში) ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარება, არამეცნიერული შეხედულების ან თეორიების, როგორც მეცნიერული თეორიის ან ფაქტის სწავლება, აგიტაცია და პროპაგანდა, მოსწავლეთათვის საკუთარი ღირებულებებისა და ფასეულობების თავს მოხვევა, მოსწავლის პირად ცხოვრებაში შეჭრა, მოსწავლის არაეთიკური ქცევისაკენ ბიძგი, მოსწავლისაგან ან მშობლისაგან ფასიანი საჩუქრების ან ფულადი თანხის აღება, სკოლისთვის შეუფერებელი ჩაცმულობა, სკოლის შინაგანაწესით, დებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობა. აღნიშნული დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

გამოიყენება შემდეგი სახდელები: შენიშვნა, სასტიკი საყვედური, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. შრომითი ხელშეკრულების ფორმის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები შეიძლება იყოს: მხარეთა წერილობითი შეთანხმება, ხელშეკრულების ვადის გასვლა, დასაქმებულის მიერ საკუთარი ნებით წერილობით განცხადების საფუძველზე დატოვება, დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, დაწესებულების მიერ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების სტატუსის დაკარგვა, დასაქმებულის გარდაცვალება, დამსაქმებლის ლიკვიდაციის წამორმოების დაწყება, სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას, კანონმდებლლობით გათვალისიწნებული სხვა საფუძვლები. თანამშრომლის მიერ პროფესიულ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის, წარმატებული და კვალიფიციური პედაგოგიური საქმიაობისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშნელობის დავალების შესრულლლებისათვის გამგეობამ შეიძლება გამოიყენოს მადლობის გამოცხადების და ფულადი პრემიის გაცემის ფორმები.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით;
- მასწავლებლეთა შერჩევა - მიღების წესით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

„ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან დადებულია უვადო ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 20 აგვისტოდან. გაფორმებული ხელშეკრულებები შემდეგი ნაწილებისგან შედგება: ზოგადი დებულებანი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ძალაში შესვლის პირობები, დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები, დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურება, სამუშაო დრო, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, შვებულება, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა დებულებები.

დასტურდება:

- თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებებით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

სკოლა საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ზრუნავს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებულია სხვადასხვა მექანიზმი, კერძოდ, მასწავლებლებლების გამგზავრებას სხვადასხვა ქვეყანაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით უზრუნველყოფს სკოლა. ასევე სკოლისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების თანადაფინანსებით მასწავლებლებისათვის ტარდება ტრენინგები, სადაც ინტენსიურად მუშაობენ ვალდორფის პედაგოგიკის საფუძვლებზე. სასწავლო-პედაგოგიკურ კურსებს წარმართავენ კასელის ვალდორფის პედაგოგიკის სემინარის სპეციალისტები.

ამას გარდა დაწესებულებამ წარმოადგინა თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შეფასების სქემა, რომელიც, 2015 წლის დეკემბერში განსახილველად გადაგზავნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან თავსებადობის დასადგენად. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან სკოლამ მიიღო თანხმობა წინამდებარე ორი დოკუმენტის თავსებადობასთან დაკავშირებით.

დასტურდება:

- მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოგზავნილი წერილით (2017 წლის 3 აპრილი);
- სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემით;
- ინტერვიუირებით.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

ვალდორფის სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა, რაც სკოლისა და ვალდორფის პედაგოგიკის ძირითადი ამოცანისა და მისიის შესაბამისად, იგრძნობა სკოლის დათვალიერებისას.

სკოლას არ ჰყავს ერთპიროვნული ხელმძღვანელი, მოქმედებს თვითმმართველობის სისტემა, სკოლას მართავენ კოლეგიური ორგანოები – გაძღოლის კონფერენცია და გამგეობა, მათ შორის გადანაწილებულია კომპეტენცია და პასუხისმგებლობა.

ჩატარდა ინტერვიუები მასწავლებლებთან და გამგეობის წევრებთან. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები სკოლაში სიხარულით დადიან, მშობლებიც და მოსწავლეებიც სკოლისა და მისი აკადემიური ფასეულობების შესახებ საუბრობენ ენთუზიაზმითა და სიამაყით; სკოლაში პატივისცემით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ეპყრობიან ერთმანეთს; მოსწავლეები და მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არსებობს თანასწორუფლებიანი დამოკიდებულება.
სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახელოსნო, სადაც გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშვრები. მოსწავლეების და მასწავლებლები ერთობლივად ამზადებენ დეკორაციებს, ხისა და თიხის ნაკეთობებს. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მოსწავლეთა ორკესრის რეპეტიცია. ორკესტრი ემზადებოდა კონცერტისთვის, რომელიც გერმანიაში ჩატარდება. ორკესტრს ხელმძღვანელობს დირიჟორი, რომელიც ამავე სკოლის კუსდამთავრებულია.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაკვირვებით;
- ინტერვიურებით;

<u>„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლი , სტანდარტი - ადამიანური რესურსი დაკმაყოფილებულია</u>

• თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სამი საფეხურის განხორციელება ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დაკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი 19.09.2017 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.